

S K Y G R O U P

შპს სკაი გრუპ  
ფინანსური ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს „სკაი გრუპ“-ის დირექტორი: ბექა აბაშელი

ფინანსური დირექტორი: მერი გოლოძე

## სრული შემოსავლების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

|                                      | 2024<br>ლარი     | 2023<br>ლარი     | 2022<br>ლარი     |
|--------------------------------------|------------------|------------------|------------------|
| შემოსავალი მომსახურების გაწევიდან    | 8 856 829        | 7 932 101        | 8 797 891        |
| არასაოპერაციო შემოსავალი             | (39 933)         | 24 978           | 34 359           |
| <b>სულ შემოსავალი</b>                | <b>8 816 896</b> | <b>7 957 079</b> | <b>8 832 250</b> |
| დასაქმებულთა ანაზღაურება             | 5 083 264        | 5 318 692        | 5 109 737        |
| იჯარის ხარჯი                         | 309 167          | 232 054          | 258 643          |
| საკონსულტაციო ხარჯი                  | -                | 105 038          | 29 706           |
| ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები       | 124 542          | 143 105          | 134 970          |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხ | 2 755 863        | 2 300 057        | 2 594 666        |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი             | 208 640          | 163 318          | 174 831          |
| <b>სულ ხარჯი</b>                     | <b>8 481 475</b> | <b>8 262 263</b> | <b>8 302 553</b> |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>            | <b>335 420</b>   | <b>(305 183)</b> | <b>529 697</b>   |
| მოგების გადასახადი                   | 35 666           | 35 503           | 41 889           |
| <b>წმინდა მოგება</b>                 | <b>299 754</b>   | <b>(340 686)</b> | <b>487 808</b>   |
| სხვა სრული შემოსავალი                |                  |                  |                  |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი</b>      | <b>299 754</b>   | <b>(340 686)</b> | <b>487 808</b>   |

წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „სკაი გრუპ“ - ის დირექტორი : ბექა აბაშიძე

ფინანსური დირექტორი: მერი გოლოძე

| ფინანსური მდგომარეობა                         | 2024<br>ლარი     | 2023<br>ლარი     | 2022<br>ლარი     |
|-----------------------------------------------|------------------|------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                               |                  |                  |                  |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                     |                  |                  |                  |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                   | 204 532          | 627 758          | 999 607          |
| სავაჭრო მოთხოვნები                            | 712 527          | 202 479          | 315 532          |
| გადახდილი ავანსები                            | 197 241          | 193 879          | 226 080          |
| სასესხო მოთხოვნები                            | -                | -                | -                |
| სხვა მიმდინარე აქტივები                       | 62 596           | 60 687           | 69 363           |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                 | <b>1 176 895</b> | <b>1 084 802</b> | <b>1 610 582</b> |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                  |                  |                  |                  |
| ძირითადი საშუალებები                          | 130 440          | 160 739          | 250 951          |
| არამატერიალური აქტივები                       | 83 664           | 89 798           | 50 514           |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>              | <b>214 103</b>   | <b>250 537</b>   | <b>301 465</b>   |
| <b>სულ აქტივები</b>                           | <b>1 390 998</b> | <b>1 335 339</b> | <b>1 912 047</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                          |                  |                  |                  |
| სავაჭრო ვალდებულებები                         | 27 214           | 35 241           | 79 229           |
| საგადასახადო ვალდებულებები                    | -                | -                | -                |
| სხვა ვალდებულებები                            | 2 567            | 36 530           | 26 459           |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                      | <b>29 781</b>    | <b>71 771</b>    | <b>105 688</b>   |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                      |                  |                  |                  |
| კაპიტალი                                      | -                | -                | -                |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი                 | 1 361 217        | 1 263 568        | 1 806 359        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                  | <b>1 361 217</b> | <b>1 263 568</b> | <b>1 806 359</b> |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b> | <b>1 390 998</b> | <b>1 335 339</b> | <b>1 912 047</b> |

წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

## ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

|                                                          | <u>2024</u>      | <u>2023</u>      | <u>2022</u>      |
|----------------------------------------------------------|------------------|------------------|------------------|
| მოგება                                                   | 544 060          | (141 865)        | 704 528          |
| დებიტორების ცვლილება                                     | (510 048)        | 113 054          | (112 199)        |
| ავანსების ცვლილება                                       | (3 361)          | 32 201           | 58 867           |
| სხვა აქტივების ცვლილება                                  | 2 785            | 1 305            | 406 247          |
| მიმდინარე სხვა აქტივების ცვლილება                        | (4 693)          | 8 513            | (41 415)         |
| არამატ. აქტივების ცვლილება                               | 6 134            | (39 284)         | 8 134            |
| კრედიტორების ცვლილება                                    | 972              | 19 331           | 11 855           |
| სხვა ვალდებულებების ცვლილება                             | (42 962)         | (54 390)         | (30 775)         |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>   | <b>(7 115)</b>   | <b>(61 135)</b>  | <b>1 005 242</b> |
| საინვესტიციო საქმიანობა                                  |                  |                  |                  |
| ძირით. საშუალებების ცვლილება                             | 30 299           | 90 212           | (30 740)         |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b> | <b>30 299</b>    | <b>90 212</b>    | <b>(30 740)</b>  |
| ფინანსური საქმიანობა - გაცემული დივიდენდი                | (237 771)        | (237 608)        | (275 573)        |
| კაპიტალი                                                 | -                | -                | -                |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>    | <b>(237 771)</b> | <b>(237 608)</b> | <b>(275 573)</b> |
| წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში        | (214 586)        | (208 531)        | 698 929          |
| სავალუტო კურსის ეფექტი                                   | (208 640)        | (163 318)        | (174 831)        |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში</b>       | <b>627 758</b>   | <b>999 607</b>   | <b>475 509</b>   |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>            | <b>204 532</b>   | <b>627 758</b>   | <b>999 607</b>   |

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

|                                       | 2024<br>ლარი | 2023<br>ლარი | 2022<br>ლარი | 2021<br>ლარი |
|---------------------------------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| საკუთარი კაპიტალი პერიოდის დასაწყისში | 1 263 568    | 1 806 359    | 1 552 235    | 2 134 241    |
| საწესდებო კაპიტალი                    | -            | -            | -            | -            |
| გაუნაწილებელი მოგება                  | 299 754      | (340 686)    | 487 808      | (66 369)     |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები             | (202 105)    | (202 105)    | (233 684)    | (515 637)    |
| საკუთარი კაპიტალი პერიოდის ბოლოს      | 1 361 217    | 1 263 568    | 1 806 359    | 1 552 235    |

წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „სკაი გრუპ“- ის დირექტორი : ბექა აბაშიძე

ფინანსური დირექტორი: მერი გოდოძე

## სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

### 1. ზოგადი ინფორმაცია

მპს "სკაი გრუპ" წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 24/01/2018). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ანდრია აფაქიძის ქ., N 5, სადარბაზო 2, სართული 13, ბინა N110. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპმენტი და შემდგომი უზრუნველყოფა, ასევე მომსახურებას პროგრამული უზრუნველყოფისა და ბიზნეს პროცესების მართვაში.

### 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

- 2.1. წინამდებარე ანგარიშგება მომზადდა მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.
- 2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი დარიცხვის მეთოდი დაცულია.
- 2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას. ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა.
- 2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).
- 2.5. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში.
- 2.6. უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის;

კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

#### შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

#### მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შედეგად, რომელიც ეხება მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს, საწარმოების მოგების გადასახადი გადავადდა, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება:

მპს „სკაი გრუპ“ - ის დირექტორი : ბექა აბაშიძე

ფინანსური დირექტორი: მერი გოლოძე

- ა) განაწილებული მოგება;  
ბ) გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;  
გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;  
დ) ამ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

აღნიშნული ცვლილებების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად, არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

### ჯგუფი

### სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)

|                           |   |
|---------------------------|---|
| კომპიუტერული ტექნიკა      | 3 |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი   | 5 |
| მობილური ტელეფონები       | 2 |
| სხვა ძირითადი საშუალებები | 5 |

კომპანიაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველწლიურად.

### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე.

### სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

### სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს სავაჭრო ვალდებულებასწროცენტი არ ერიცხება, თუ არ ხდება სახელშეკრულებო პირობების დარღვევა.

მპს „სკაი გრუპ“ - ის დირექტორი: ბეჟა აბაშიძე

ფინანსური დირექტორი: მერი გოლოძე

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკუროს სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

### კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისაგან, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით და კომპანიის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით. კომპანიიდან დივიდენდის გატანაზე გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება

### ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

### დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურება მოიცავს გაცემულ ხელფასებსა და სხვა დამატებით ბენეფიტებს.

### იჯარა


იჯარა მოიცავს საოფისე ფართის ქირას, რომელიც მიღებულია ჩვეულებრივი საიჯარო პირობებით და აღირიცხება საოპერაციო იჯარის პრინციპით.

### არასაოპერაციო ხარჯები და შემოსავლები


არასაოპერაციო ხარჯები და შემოსავლები მოიცავს საპროცენტო შემოსავლებსა და სავალუტო კურსთაშორის ცვლილებით გამოწვეულ ეფექტს.

### გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე,



შპს „სკაი გრუპ“ - ის დირექტორი : მერა აბაშიძე



ფინანსური დირექტორი: მერი გოლოძე

გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკუროს სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

### 3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

#### 3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

|                          | <u>31.12.2024</u> | <u>31.12.2023</u> | <u>31.12.2022</u> |
|--------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| ლარი საბანკო ანგარიშზე   | 3 882.91 ლ        | 8 334.55 ლ        | 12 047.54 ლ       |
| ევრო საბანკო ანგარიშზე   | € 32 994.14 €     | 107 098.24 €      | 319 567.77        |
| დოლარი საბანკო ანგარიშზე | \$ 18 992.39 \$   | 19 813.83 \$      | 24 333.23         |
| ბრიტანული ფუნტი          | £ 623.27 £        | 0.41 £            | 13.76             |

#### 3.2. გაცემული მიმდინარე სესხი:

|                | <u>31.12.2024</u> | <u>31.12.2023</u> | <u>31.12.2022</u> |
|----------------|-------------------|-------------------|-------------------|
| გაცემული სესხი | -                 | -                 | -                 |

#### 3.3. სავაჭრო მოთხოვნები

|                                           | <u>31.12.2024</u> | <u>31.12.2023</u> | <u>31.12.2022</u> |
|-------------------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან | 712 527.00        | 202 478.65        | 315 532.00        |

2024 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალეები არ აქვს.

#### 3.4. გადახდილი ავანსები

|                                              | <u>31.12.2024</u> | <u>31.12.2023</u> | <u>31.12.2022</u> |
|----------------------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| რეზიდენტ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები    | 44 724.07         | 63 041.54         | 86 807.51         |
| არარეზიდენტ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები | 152 516.76        | 130 837.85        | 139 272.97        |

#### 3.5. სხვა მიმდინარე აქტივები:

|                                 | <u>31.12.2024</u> | <u>31.12.2023</u> | <u>31.12.2022</u> |
|---------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| წინსწრებით გადახდილი გადასახადი | 62 595.62         | 57 902.28         | 65 274.00         |

შპს „სკაი გრუპ“ - ის დირექტორი: ბექა აბაშიძე

ფინანსური დირექტორი: მერი გოლოძე

| 3.6. სავაჭრო ვალდებულებები:                   | <u>31.12.2024</u> | <u>31.12.2023</u> | <u>31.12.2022</u> |
|-----------------------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ    | 15 648.36         | 13 860.31         | 12 176.43         |
| დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ | 11 565.43         | 12 381.29         | 3 733.65          |


| 3.7. საკუთარი კაპიტალი | <u>31.12.2024</u> | <u>31.12.2023</u> | <u>31.12.2022</u> |
|------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| კაპიტალი               | -                 | -                 | -                 |
| გაუნაწილებელი მოგება   | 1 361 217.09      | 1 263 567.97      | 1 806 359.00      |

| 3.8. არასაოპერაციო ხარჯები და შემოსავლები | <u>31.12.2024</u> | <u>31.12.2023</u> | <u>31.12.2022</u> |
|-------------------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი            | (39 933.00)       | 24 978.48         | 34 359.00         |

არასაოპერაციო შემოსავალი ფორმირდება სახელშეკრულებო პირობის დარღვევის გამო მიღებული საპროცენტო შემოსავლით.

#### ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2025 წლის 30 სექტემბერს.



შპს „სკაი გრუპ“ - ის დირექტორი : ბექა აბაშიძე



ფინანსური დირექტორი: მერი გოლოძე